

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

დამტკიცებულია

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის

კოლეჯის დირექტორის

2021 წლის 9 ივნისის

ბრძანებით N45



1. ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

<b>პროგრამის სახელწოდება: საწყობის ლოგისტიკის სპეციალისტი</b>
პროგრამის სახე: <input checked="" type="checkbox"/> პროფესიული მომზადება <input type="checkbox"/> პროფესიული გადამზადება
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: <input type="checkbox"/> 2 <input type="checkbox"/> 3 <input checked="" type="checkbox"/> 4 <input type="checkbox"/> 5
პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 8
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 20, 8, 11

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:

მინიმალური 10 მაქსიმალური 15

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** სრული ზოგადი განათლება.

**პროგრამის მიზანი:** მოამზადოს მსმენელი საწყობის ლოგისტიკის სპეციალისტად, რომელიც შეძლებს ტვირთის კლასიფიცირებას, ტვირთის მიღებას საწყობში, სათავსოში შენახვას, ტვირთის გაცემას საწყობიდან და სასაწყობო დოკუმენტებთან მუშაობას.

**სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)**

1. ლოგისტიკის მნიშვნელობის გაცნობიერება;
2. უსაფრთხო სამუშაო გარემო ლოგისტიკის ობიექტებზე;
3. ტვირთის მიღება საწყობში;
4. ტვირთის შენახვა სათავსოში;
5. ტვირთის გაცემა საწყობიდან;
6. სასაწყობო დოკუმენტების დამუშავება.

**პროგრამის შემუშავების საფუძველი:**

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:** სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა

**მოდულები:** 1. ლოგისტიკის საფუძვლები;

2. საწყობის ლოგისტიკა.

**პროგრამის მოკლე აღწერა:** წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობაა 8 კვირა და 121 საკონტაქტო საათი. პროგრამა ხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მეთოდოლოგიით. კერძოდ, გარკვეული შედეგები მიიღწევა სასწავლო დაწესებულებაში, ზოგიერთი კი რეალურ სამუშაო გარემოში პარტნიორ ორგანიზაციასთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში. 39 საკონტაქტო საათი დათმობილი აქვს თეორიული ნაწილის შესწავლას, ხოლო 82 საათი - პრაქტიკულს.

„საწყობის ლოგისტიკის სპეციალისტის“ პროფესიული მომზადების პროგრამა მსმენელს მისცემს საშუალებას გაეცნოს ლოგისტიკის არსსა და მნიშვნელობას, შეისწავლოს სხვადასხვა საწყობის ტიპი, ტვირთების კლასიფიკაცია, ტვირთის მიღება საწყობში, მათი შენახვა სათავსოში და ტვირთის დახარისხება შესაბამისი ნორმების დაცვით, ტვირთის გაცემა საწყობიდან, სასაწყობო დოკუმენტებთან მუშაობა და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა.

პროგრამაზე სწავლა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, ვისაც სურს უმოკლეს დროში მიიღოს კონკრეტული ცოდნა/ უნარები და დასაქმდეს ამ მიმართულებით. პროგრამის დასრულების შემდეგ მსმენელი მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს.

2. პროგრამის შინაარსი

სასწავლო კვირა	თემატიკა	თემატიკის შესაბამისი სწავლის შედეგების ნომრები	კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა	სწავლების მეთოდი/ები	შეფასების მეთოდი/ები	სასწავლო გარემო
1	<ul style="list-style-type: none"> <li>ლოგისტიკის ტერმინის არსი;</li> <li>ლოგისტიკის განვითარების ძირითადი ისტორიული ეტაპები;</li> <li>ლოგისტიკის ძირითადი პრინციპები;</li> <li>ლოგისტიკის თანამედროვე მიმართულებები;</li> <li>სატრანსპორტო ლოგისტიკის მნიშვნელობა და ამოცანები;</li> <li>შრომის უსაფრთხოების ნორმები;</li> <li>უსაფრთხო სამუშაო გარემო ლოგისტიკის ობიექტებზე.</li> </ul>	1,2	20	<p>ლექცია,</p> <p>დისკუსია,</p> <p>სასწავლო ექსკურსიის ფარგლებში დემონსტრირება პრაქტიკის ობიექტზე</p>	გამოკითხვა (წერიტი მეთოდი - ღია და დახურული ტესტი)	<p>*ABC გარემოში მიიღწევა 14 სთ;</p> <p>**პრაქტიკის ობიექტზე - 6სთ.</p>
2	<ul style="list-style-type: none"> <li>საწყობის ტიპები: საბაჟო საწყობი, მაცივარ საწყობი, ტერმინალი, ნაყარი ტვირთების საწყობი;</li> <li>საადრიცხვო ჟურნალში ჩანაწერების წარმოების წესები;</li> <li>საწყობის ტექნოლოგიური სქემა;</li> <li>იდენტიფიკაციის საშუალებების ტიპები;</li> <li>მკაცრი აღრიცხვის ფორმების, ბეჭდების, შტამპების, ელექტრონულ პროგრამებში დაშვების პაროლების, ინფორმაციის დაცულობის ვალდებულება და შესაძლო პასუხისმგებლობა;</li> </ul>	3	20	<p>დისკუსია,</p> <p>ლექცია,</p> <p>დემონსტრირება პრაქტიკის ობიექტზე</p>	გამოკითხვა (წერიტი მეთოდი - ღია და დახურული ტესტი)	<p>*ABC გარემოში მიიღწევა 17 სთ;</p> <p>**პრაქტიკის ობიექტზე - 3სთ.</p>

	<ul style="list-style-type: none"> <li>• სასაწყობე მანქანა-დანადგარები (მათ შორის დაცლა-დატვირთვის საშუალებები), მოწყობილობები და ინვენტარი, მათი იდენტიფიცირება.</li> <li>• ინვენტარის/ტექნიკის ზოგადი ტექნიკური მახასიათებლები;</li> <li>• სპეციალური საცავის ტიპები: (ხელოვნური გაგრილების საცავი, წამლების შესანახი საცავი).</li> </ul>					
3	<ul style="list-style-type: none"> <li>• ტვირთის სახეობები;</li> <li>• სახიფათო ტვირთების შენახვის წესი;</li> <li>• ძვირფასი ნივთების შენახვის წესი;</li> <li>• მალფუჭებადი ტვირთის შენახვის წესი;</li> <li>• ტვირთის მარკირება;</li> <li>• საწყობში პროდუქტის დახარისხება;</li> <li>• პროდუქტის ტიპები;</li> <li>• პროდუქტის გამრობის წესები;</li> <li>• ტარისა და შეფუთვის სახეები და მახასიათებლები;</li> <li>• პროდუქტის შენახვის რეჟიმები;</li> <li>• ტარის სახეობები.</li> </ul>	4	8	<p>ლექცია, დისკუსია, ვიდეო ჩვენება</p>	<p>გამოკითხვა (წერიითი მეთოდი - ღია და დახურული ტესტი)</p>	*ABC გარემო
4	<ul style="list-style-type: none"> <li>• ტარის ზომები;</li> <li>• პროდუქციის ტარაში განთავსების წესები;</li> <li>• დაცლა-დატვირთვის საშუალებები;</li> <li>• საცავში ხილისა და ბოსტნეულის შენახვის წესები;</li> <li>• საცავში ხორცპროდუქტების შენახვის წესები;</li> </ul>	4	20	<p>ლექცია, დისკუსია, ვიდეო ჩვენება პრაქტიკული მეცადინეობა</p>	<p>გამოკითხვა (წერიითი მეთოდი - ღია და დახურული ტესტი)</p>	**პრაქტიკის ობიექტი

	<ul style="list-style-type: none"> <li>• საცავში თევზის შენახვის წესები;</li> <li>• საცავში მედიკამენტების შენახვის წესები;</li> <li>• ტენიანობის განსაზღვრის წესები;</li> <li>• პროდუქციის საწყობში რაციონალურად განთავსება;</li> <li>• სათავსოში ტვირთის განლაგება;</li> <li>• ტემპერატურის მარეგულირებელი მოწყობილობის გამოყენება;</li> <li>• ტენიანობის მარეგულირებელი მოწყობილობის გამოყენება.</li> </ul> <p>9სთ</p>				პრაქტიკული დავალების შეფასება	
5	<ul style="list-style-type: none"> <li>• გადასაადგილებელი/გასაცემი ტვირთის დატვირთვა და დაფიქსირება;</li> <li>• დაცლა-დატვირთვის საშუალებები;</li> <li>• საშუალებაში რაციონალურად განთავსების წესები;</li> <li>• ლუქის დადების ზოგადი წესი;</li> <li>• ლუქის ტიპები;</li> <li>• დალუქვის შესახებ აქტის შედგენის წესი; ლუქის აღრიცხვის წესი;</li> <li>• გახარჯული ლუქების ჩამოწერის წესი;</li> <li>• იდენტიფიცირების წესები და მასთან დაკავშირებული პოტენციური რისკები;</li> <li>• ელექტრონული აღრიცხვის პროგრამების მოხმარების წესები;</li> <li>• სააღრიცხვო ჟურნალის შენახვა/წარმოების წესი.</li> </ul>	5	20	თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობა პრაქტიკის ობიექტზე	პრაქტიკული დავალების შეფასება	**პრაქტიკის ობიექტი

6	<ul style="list-style-type: none"> <li>• საშვის გამოწერა;</li> <li>• ნაშთების კონტროლი;</li> <li>• ტვირთის დაზიანების ტიპები;</li> <li>• დაზიანებაზე რეაგირების პროცედურები;</li> <li>• დაზიანების აქტის შედგენა;</li> <li>• ტვირთის შენახვის ვადები გადაზიდვის სახეობის მიხედვით;</li> <li>• საბაჟო რეჟიმში მოქცევამდე/მოქცეული ტვირთის შენახვის ვადები;</li> <li>• საწყობის ტარიფები;</li> <li>• ანგარიშსწორების შემოწმების ზოგადი წესები;</li> <li>• ტვირთის დასაწყობების ღირებულების გამოთვლის წესები საწყობის ტარიფების მიხედვით.</li> </ul>	5	11	თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობა პრაქტიკის ობიექტზე	პრაქტიკული დავალების შეფასება	** პრაქტიკის ობიექტი
7	<ul style="list-style-type: none"> <li>• თანმხლები სატრანსპორტო დოკუმენტაციის შევსება/წარმოება;</li> <li>• დოკუმენტების შენახვა და ვადები.</li> </ul>	6	11	თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობა პრაქტიკის ობიექტზე	პრაქტიკული დავალების შეფასება	** პრაქტიკის ობიექტი
8	<ul style="list-style-type: none"> <li>• მიღება-ჩაბარების აქტის შედგენა;</li> <li>• დასაწყობების დოკუმენტების შევსება;</li> <li>• შესაბამის ელექტრონულ სისტემებთან მუშაობა.</li> </ul>	6	11	თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობა პრაქტიკის ობიექტზე	პრაქტიკული დავალების შეფასება	** პრაქტიკის ობიექტი

\* ABC ინტეგრირებული გარემო

\*\* პრაქტიკის ობიექტი - ს.ს. „გუდვილი“

3. პროგრამის თავსებადობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, რომელსაც ეფუძნება პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა "სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა"	
მოდულის სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი	სწავლის შედეგის დასახელება და რიგითი ნომერი
0411313 ლოგისტიკის საფუძვლები	<ol style="list-style-type: none"> <li>1. ლოგისტიკის არსისა და მნიშვნელობის განმარტება;</li> <li>2. შრომითი და ეკოლოგიური უსაფრთხოების ნორმების განმარტება.</li> </ol>
0411318 საწყოების ლოგისტიკა	<ol style="list-style-type: none"> <li>1. ტვირთის მიღება საწყოში;</li> <li>2. ტვირთის შენახვა სათავსოში;</li> <li>3. ტვირთის გაცემა საწყოიდან;</li> <li>4. სასაწყო ბოლო დოკუმენტაციის წარმოება.</li> </ol>